განათლების სფეროს გაშუქება მედიასაშუალებებში

კოალიცია
განათლება ყველასათვის - საქართველო

2015

კოალიცია **„განათლება ყველასათვის - საქართველო“** 2013 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. კოალიციაში გაწევრიანებულია განათლების სფეროში მოღვაწე ცამეტი, სხვადსხვა თემატური პროფილის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც იზიარებენ განათლება ყველასათვის მსოფლიო დეკლარაციის პრინციპებს. კოალიცია ადვოკატირებას უწევს განათლება ყველასათვის მიზნების განხორციელებას საქართველოში. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ წვდომას ჩვენს ქვეყანაში.

კოალიცია სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობის **გლობალური კამპანია განათლებისთვის** წევრია. საერთაშორისო კოალიციის მისიაა ზეგავლენა მოახდინოს მთავრობებზე, რათა მათ უზრუნველყონ თითოეულის უფლების რეალიზება მიიღოს ხარისხიანი განათლება. მოძრაობა მოქმედებს იუნესკოს ეგიდით, **განათლება ყველასათვის დეკლარაციის** ფარგლებში (www.campaignforeducation.org). კოალიცია განათლება ყველასათვის - საქართველო საქმიანობას ახორციელებს **სამოქალაქო საზოგადოების განათლების ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით.

2015 წლის გაზაფხულიდან კოალიციამ წამოიწყო კამპანია **„აირჩიე განათლება“**, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მხრიდან განათლების აღიარებას ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ დარგად, აღიარებული პრიორიტეტის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფას და განათლების განვითარების გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

მისამართი: თბილისი, ოთარ ჩხეიძის #5.

ტელეფონი: (+995 32) 220-67-74, (+995 32) 220-67-75

ვებგვერდი: www.efageorgia.ge

ბროშურა გამოცა კამპანია **„აირჩიე განათლების“** ფარგლებში კვლევითი კომპანია „ეი-სი-თისთან“ თანამშრომლობით კოალიციის **„განათლება ყველასათვის - საქართველო“** მიერ და სამოქალაქო საზოგადოების განათლების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

სარჩევი

განათლება საზოგადოების პრიორიტეტია, მედიის - არა 1

1. კვლევის მიზნები 7

2. კვლევის დიზაინი 7

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები 7

2.2 კვლევის მეთოდოლოგია 7

3. ანალიზი და ინტერპრეტაცია..... 9

3.1 განათლების საკითხების გაშუქების შეფასება ქართულ მედიასივრცეში 9

3.1.1 არსებული გარემოს ანალიზი..... 9

3.1.2 განათლების თემის გაშუქებასთან დაკაშირებული სირთულეები და ბარიერები 11

3.1.3 განათლების თემის გაშუქებასთან დაკავშირებული ხარვეზების გადაჭრის გზები 15

4. ძირითადი მიგნებები 17

განათლება საზოგადოების პრიორიტეტია, მედიის - არა

როგორ აშუქებს ქართული მედია განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და რამდენად პრიორიტეტულია განათლება ქართული მედიისთვის?

ნაწილობრივ ამ შეკითხვებს პასუხობს კვლევები, რომლებშიც საქართველოში მედიის მიერ განათლების გაშუქების საკითხია შესწავლილი.

ერთ-ერთი უახლესი კვლევა 2015 წელს ეისითი-მ კოალიციათან განათლება ყველასათვის - საქართველო თანამშრომლობით ჩაატარა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში 12 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუები სხვადასხვა მედია საშუალებებში გადაწყვეტილების მიმღები აიღეს. გამოკითხულთა შორის იყვნენ როგორც ტელევიზიისა და რადიოს, ასევე ელექტრონულ, და ბეჭდურ მედიაში მომუშავე ადამიანები. კვლევაში განათლების სექტორის არასახელისუფლო წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

საგულისხმოა, რომ კვლევის ყველა მონაწილის აზრით, განათლება მედიისთვის პრიორიტეტული არაა.

მედია ძირითადად აშუქებს გამოცდების (სასერთიფიკაციო, სასკოლო დამამთავრებელი, ეროვნული გამოცდები) მიმდინარეობის პროცესს, მასთან დაკავშირებულ სიახლეებს. ასევე ნიუსის ფორმატში განიხილავს ოფიციალური ინსტიტუციების აქტივობებს. აქტიურად შუქდება სკანდალური ხასიათის ფაქტები. ეს რეაქციები მედიის მხრიდან, როგორც წესი, ფრაგმენტულია, ერთჯერადი და არ არის ორიენტირებული საკითხის სიღრმისეულ შესწავლაზე.

> “თუ განათლებასთან დაკავშირებული საკითხი არ ატარებს ერთმნიშვნელოვნად სკანდალურ ხასიათს, ის თითქმის ვერასოდეს ხვდება საინფორმაციო გამოშვებების პირველ ან მეორე ბლოკში”, - ვკითხულობთ კვლევაში.

განათლების საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული ტენდენციები მედიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით 2012 წელს ჟურნალისტმა მაკა ჯაიანმაც შეისწავლა.

კვლევის ფარგლებში 6 ტელევიზია და 5 გაზეთის მასალები გაანალიზდა.

2012 წლის კვლევის შედეგები 2015 წლის კვლევის შედეგებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, მათი მიგნებები თითქმის იდენტურია. (2012 წლის კვლევა რაოდენობრივია, 2015 წლის კი - თვისებრივი.) 2012 წლის კვლევის მიხედვით, ქართული მედია განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს საშუალო სიხშირით აშუქებდა და ძირითადად, სფეროში მომხდარი ახალი ამბებით შემოიფარგლებოდა. იშვიათობას წარმოადგენდა სრულფასოვანი მოკვლევითი ხასიათის ნამუშევრები.

რა უშლის ხელს ქართულ მედიაში განათლებასთან დაკავშირებული საკითხების ჯეროვან გაშუქებას? რატომ არაა მედიისთვის საინტერესო განათლების ხარისხთან და რეფორმებთან დაკავშირებული საკითხები?

ერთ-ერთი მიზეზი, კვლევაში მონაწილე რესპოდენტების თქმით, განათლების სამინისტროს პასიურობაა, რომელიც ვერ ახერხებს განათლების პრიორიტეტულ ღირებულად წარმოჩენას.

მეტიც - კვლევის მონაწილეთა აზრით, განათლების სამინისტროს ზოგჯერ ისიც კი არ შეუძლია, განათლების სფეროში განვითარებული ცვლილებების დროს თავი ანგარიშგასაწევ და კომპეტენტურ მხარედ წარმოაჩინოს.

კვლევის რამდენიმე მონაწილემ მაგალითად საგან "მე და საზოგადოებასთან" დაკავშირებული პროცესი მოიტანა, როდესაც საპატრიარქოს გავლენით საგნის სტანდარტში ცვლილებები შევიდა.

> "სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების აზრით, ამ დისკურსში განათლების სამინისტრო ფაქტობრივად არ ჩანდა და რა დოზითაც ჩანდა, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო ქვეყნის ძირითადი რელიგიური ერთობის მორჩილი და ორიენტირებული იყო არ შესულიყო საპატრიარქოსთან პოლემიკაში, რაც მის ნაკლებ პროფესიონალიზმსა და პრინციპულობაზე მეტყველებს" - ვკითხულობთ კვლევაში.

ოფიციალური სტრუქტურების პასიურობის გარდა, ხელისშემშლელ ბარიერებს შორისაა კვალიფიციური ჟურნალისტების დეფიციტი, ისეთების, რომლებიც შეძლებენ განათლების საკითხების სიღრმისეულ შესწავლას და სწორი აქცენტების დასმას.

> "ქართული მედიის მესვეურებს კი ასეთი კადრების გაზრდაში რესურსის ჩადება, ამ ეტაპზე, არარენტაბელურად და ნაკლებ აქტუალურად მიაჩნიათ, რადგანაც არსებული მეინსტრიმი - პოლიტიკა, კრიმინალი, ლარის კურსი და ა.შ. მათი არხების რეიტინგულობას ისედაც უზრუნველყოფს", - ნათქვამია კვლევაში.

კვლევის მიხედვით, განათლების საკითხების სიღრმისეული გაშუქებისთვის ჟურნალისტთა მომზადებაზე უმაღლესი განათლების დაწესებულებებმაც უნდა იზრუნონ.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტები ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია, მომავალი ჟურნალისტები სასწავლო პროცესში იღებდნენ ამა თუ იმ დარგის ჯეროვანი გაშუქებისთვის საჭირო ინფორმაციას და ეუფლებოდნენ შესაბამის უნარებს.

კვლევის მიხედვით, ერთ-ერთი პრობლემა თავად იმ ჯგუფების სიმწირეა, რომლებიც განათლების საკითხებზე მუშაობენ და რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი განათლების საკითხების პრიორიტეტად წარმოჩენა უნდა იყოს.

> "ფაქტობრივად კვლევის ყველა რესპონდენტი აყალიბებდა იდენტურ აზრს - წარმოუდგენელია საზოგადოებას დავაბრალოთ პასიურობა. საზოგადოება აპრიორი დაინტერესებულია იმით, რომ განთლების სფერო იყოს პრიორიტეტული და შესაბამისად აქტუალურიც ქართული მედიისთვის. საზოგადოების უდიდესი ნაწილი არის დაინტერესებული მხარე, მოსწავლე, სტუდენტი, მშობელი, მასწავლებელი, ლექტორი და ა.შ. პროცესში ჩართული თითოეული სეგმენტისთვის მნიშვნელოვანია მიიღონ/გასცენ ისეთი განათლება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება. საზოგადოების გააქტიურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერი იქნება ის თემები, ჯგუფები, ორგანიზაციები, რომლებიც განათლების სფეროზე მუშაობენ ", - ნათქვამია კვლევაში.

ჟურნალისტი ია ანთაძის აზრი ქართულ მედიაში განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით ემთხვევა კვლევის შედეგებს - ის ფიქრობთ, რომ ქართული მედია ზედაპირულად აშუქებს არა მხოლოდ განათლების სფეროს საკითხებს, არამედ სხვა საკითხებსაც, რომლებსაც სპეციალური ცოდნა სჭირდება.

> "განათლების სისტემა მრავალსეგმენტიანია და იმისთვის, რომ ჟურნალისტმა სიღრმისეულად გააშუქოს სასკოლო ან საუნივერსიტეტო განათლების საკითხები, მას ექსპერტული ცოდნის შეძენა მოუწევს. ეს კი სერიოზულ ადამიანურ და ფინანსურ რესურსთანაა დაკავშირებული. იმის მიუხედავად, რომ დღეს ქართული მედია ფინანსური რესურსის სიმწირეს არ უჩივის, ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი იდება ექსპერტული ცოდნის შეძენაში", - ამბობს ია ანთაძე.

ია ანთაძის თქმით, საზოგადოების მხრიდან „ყვითელ“, ზედაპირულ გაშუქებაზე მეტი მოთხოვნაა, ვიდრე სიღრმისეულ მასალებზე. ამიტომ, „ყვითელი“ პროდუქტის შემქმნელი ჟურნალისტები დღეს ბევრად წარმატებული არიან, ვიდრე მათი კოლეგები, რომლებიც სიღრმისეულ ჟურნალისტიკას ჰქმნიან.

> “წარმატების დასტურად, როგორც წესი, რეიტინგების მონაცემები მოჰყავთ. თუმცა, რეიტინგის გარდა, პროფესიულ მედიას კიდევ ბევრი სხვა ინტერესი უნდა ჰქონდეს და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების, მათ შორის, განათლების სფეროს პრობლემების გაშუქება მედიის ერთ-ერთი ძირითადი ინტერესი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, თავისუფალი მედია თავისთავად გააჩენს ნამდვილ კონკურენციას და, შესაბამისად, ინტერესს სიღრმისეული გაშუქების მიმართ“, - ამბობს ია ანთაძე.

განათლების მკვლევარი სიმონ ჯანაშია ფიქრობს, რომ მედია განათლების საკითხებით არ ინტერესდება, რადგან ამ მიმართულებით არც აღმასრულებელი ხელისუფლება, არც პარტიები არ აქტიურობენ. ასევე ფიქრობს, რომ მედიაში იშვიათია ადამიანი, ვინც მიზანმიმართულად მუშაობს განათლების საკითხებზე.

> “შესაბამისად, ნებისმიერი გადაცემა თუ სიუჟეტი გაკეთებულია დილეტანტების მიერ, მომზადების გარეშე. ამ სფეროში არც ჟურნალისტებს და არც რედაქტორებს საკმარისი კომპეტენცია არ გააჩნიათ. მედიას ორმაგი როლი აქვს. ერთი, მას შეუძლია განათლების პრობლემებისა და შესაძლო გამოსავლების განხილვა და, მეორე, მას შეუძლია თავად ჰქონდეს საგანმანათლებლო როლი. სამწუხაროდ, პრობლემა ორივე მიმართულებით გვაქვს”, - ამბობს სიმონ ჯანაშია.

ჟურნალისტი ნინო ზურიაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოში მედია პოლარიზებული და უკიდურესად პოლიტიზირებულია.

> “მედიამ უნდა აუხსნას მოსახლეობას, რომ განათლების კუთხით არსებული პრობელმები ქვეყნის ყველაზე დიდი ტკივილია. რომ განათლებაა ჩვენი ქვეყნის მომავალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.” - ამბობს ნინო ზურიაშვილი.

“წესით ქვეყანაში, სადაც 560 000 მოსწავლე, 100000 სტუდენტი, მათი მშობლები, 60 0000 მასწავლებელი და 10 000-მდე პროფესორ-მასწავლებელია, განათლების თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მიმზიდველი უნდა იყოს. თუმცა, როგორც ჩანს, განათლების საკითხებზე ან საგანმანათლებლო პროდუქტებზე დაბალი მოთხოვნა და მიწოდებაც შესაბამისია “, - ამბობს განათლების ექსპერტი შალვა ტაბატაძე.

შალვა ტაბატაძე ფიქრობს, რომ მედიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში განათლების რეფორმის საკითხებთან მიმართებით, მაგრამ ზოგჯერ, მედიის მიერ არასწორად გაშუქებამ და საზოგადოებრივი აზრის შექმნამ, განათლების რეფორმა შესაძლოა დააზარალოს კიდეც.

“ამის მაგალითად სულ მახსენდება დირექტორების არჩევნები და ყბადაღებული „ლოტოტრონი”, რომლის არასიღრმისეულმა გაშუქებამ გამოიწვია ამ რეფორმის მიმართ საზოგადოებრივი აზრის მთლიანად ნეგატიურად ფორმირება. ანუ იმის თქმა მინდა, რომ კარგი იქნება, თუ მედიაში განათლებას დიდი ადგილი დაეთმობა, ოღონდ ეს უნდა მოხდეს პროფესიონალი, ამ სფეროზე ორიენტირებული და განსწავლული ჟურნალისტების მიერ, რათა საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა, რეალურად შეაფასოს ამა თუ იმ რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები”, - ამბობს შალვა ტაბატაძე.

2014 წლის საზოგადოებრივი კვლევის შედეგების მიხედვით (NDI) სამ მნიშვნელოვან რეფორმას შორის, რომელიც ქვეყანაში მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, ხალხი ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და განათლების რეფორმებს ასახელებს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევების გარეშეც ცხადია, რომ განათლება ქვეყნის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა.

2013 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ათასწლეულის განვითარების კორპორაციისგან საშუალო და უმაღლესი განათლების განვითარებისთვის 140-მილიონიანი გრანტი მიიღო.

საქართველოს მთავრობასთან 140-მილიონდოლარიანი საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებისას, როგორც გრანტის გამცემმა, ისე მიმღებმა მხარეებმა განცხადეს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ძირი-

თად დაბრკოლებას ადამიანური კაპიტალის ხარისხი წარმოადგენს და რომ განათლების სისტემაში არსებული პრობლემები ქვეყნის შემდგომი განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია.

თუმცა გაცხადებული პოზიციის მიუხედავად, როგორც ჩანს, ვერც ხელისუფლებისთვის და ვერც მედიისთვის განათლების რეფორმა პრიორიტეტული მაინც ვერ გახდა.

1. კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა, შეესწავლა, როგორ შუქდება ქართულ მედიაში განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. კვლევა კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ მიერ წარმოებული კამპანიის - „აირჩიე განათლება“ ერთ-ერთი კომპონენტია. თავის მხრივ, კამპანიის მიზანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ქვეყნისთვის განათლების პრიორიტეტულობისა და ასევე, სახელმწიფოს მხრიდან განათლების ხელშეწყობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ.

2. კვლევის დიზაინი

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო, თუ როგორ შუქდება დღევანდელ ქართულ მედიაში განათლებასთან დაკავშირებული თემები.

- განათლების საკითხების გაშუქების შეფასება ქართულ მედიასივრცეში;
- განათლების თემის გაშუქებასთან დაკაშირებული სირთულეებისა და ბარიერების გამოვლენა;
- არსებული ბარიერებისა და სირთულეების გადაჭრის გზების იდენტიფიცირება.

2.2 კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა მედიასაშუალებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. გამოკითხულთა შორის იყვნენ როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიაში მომუშავე ადამიანები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს განათლების სექტორის არასახელისუფლო წარმომადგენლებმაც.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა თბილისში 16 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.

3. ანალიზი და ინტერპრეტაცია

3.1 განათლების საკითხების გაშუქების შეფასება ქართულ მედიასივრცეში

3.1.1 არსებული გარემოს ანალიზი

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი ფაქტობრივად იდენტურად ფიქრობს, რომ ქართულ მედიასივრცეში განათლება და მასთან დაკავშირებული საკითხები პრიორიტეტული არ არის. ქართული მედიასივრცე ძირითადად გაჯერებულია პოლიტიკური, კრიმინალური და ნაწილობრივ ეკონომიკური და საერთაშორისო თემატიკით. მსგავსი ტენდენცია ახასიათებს როგორც სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებს, ისე თოქშოუებს. კვლევის მონაწილეთა განცხადებით, არსებული გარემოება გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, თემების ე.წ. „სიცხელით“, რაც ქართულ მედიასაშუალებებს აუდიტორიის მოზიდვისა და რეიტინგულობისთვის სჭირდებათ, ხოლო მეორე მხრივ, სარედაქციო პოლიტიკით - თითოეული მედიასაშუალება ქვეყნის პოლიტიკურ, კრიმინალურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას და მასში მონაწილე აქტორებს ისე და იმ სიხშირით წარმოაჩენს, როგორც მათ სარედაქციო პოლიტიკას და გემოვნებას ესადაგება. ამგვარი ქცევა თითქმის ერთნაირად ახასიათებს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა სახის მედიასაშუალებებს, თუმცა საუბრის დროს კვლევის მონაწილეები ხაზს უსვამდნენ, რომ მეტ-ნაკლებად ფართო თემატიკაზე მუშაობს ქართული ინტერნეტმედია, ტელე და ბეჭდვით მედიასთან შედარებით.

რაც შეეხება თავად განათლების საკითხებს, სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ განათლებასთან დაკავშირებული თემატიკა ქართულ მედიასივრცეში რამდენიმე მიმართულებით ხვდება:

- კალენდარული ახალი ამბები - ზაფხულის პერიოდში ერთიანი მისაღები გამოცდები და მასთან დაკავშირებული საკითხები: აბიტურიენტთა რაოდენობა, გამოცდების პროცესთან დაკავშირებული ცალკეული ექსცესები, გამოცდების შედეგებით უკმაყოფილო აბიტურიენტთა/სტუდენტთა პროტესტის გაშუქება და ა.შ. საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების ელექტრონული რეგისტრაციისა და რესურსების სიმცირესთან დაკავშირებული ხარვეზები და უკმაყოფილება. პირველკლასელთათვის უფასო, მაგრამ მეორადი სახელმძღვანელოების დარიგებასთან დაკავშირებული კრიტიკული დისკურსის გაშუქება.

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდების პროცესში უმრავლესობის მიერ დაბალი შედეგის ჩვენება;

- ოფიციალური ინსტიტუციების (განათლების სამინისტრო, მისი სსიპ-ები) აქტივობების, სიახლეების გაშუქება ნიუსის ფორმატით;
- კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნეგატიური შინაარსის მოვლენის გაშუქება - მასწავლებლების, ბაღის გამგეების „პოლიტიკური ნიშნით“ გათავისუფლება, გამოსვლები რომელიმე სკოლის დირექტორის ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის გადაყენების მოთხოვნით;
- ცალკეულ შემთხვევებში საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ერთჯერადად წარმოჩენა - გათბობა სკოლებში, საბავშვო ბაღებში, წყლის, კანალიზაციისა და ჰიგიენის ნორმების დაუცველობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და ა.შ.
- საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორც პროცესში ჩართული პასუხისმგებელი მხარის, კრიტიკა მისი ბენეფიციარების უფლებების დარღვევისას - ძირითადად სკოლის მოსწავლეებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების გაშუქება საინფორმაციო გადაცემის ფორმატში და ცალკეულ შემთხვევებში, თუ ძალადობა ტრაგიკული შედეგით დამთავრდა, მსჯელობა თოქშოუებში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მედიასივრცეში განათლებასთან დაკავშირებული თემები მხოლოდ მაშინ შუქდება, როდესაც კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სახელმწიფო ინსტიტუცია პრესრელიზის ფორმით ან როდესაც მედიასაშუალებები აფიქსირებენ თავიანთ რეაქციას ძირითადად ნეგატიური და/ან სკანდალური შინაარსის კონკრეტულ ფაქტზე, მოვლენაზე, სადაც განათლების სისტემის რომელიმე მიმართულება არის აქტორი/მხარე, რომლის მიმართაც აფიქსირებენ უკმაყოფილებას. ასეთი რეაქციები ძირითადად ფრაგმენტული ხასიათისაა და ნაკლებად ორიენტირებულია საკითხის სიღრმისეულ შესწავლასა და საბოლოო შედეგების საზოგადოებისთვის მიწოდებაზე. თუ განათლებასთან დაკავშირებული საკითხი ერთმნიშვნელოვნად სკანდალური ხასიათის არ არის, საინფორმაციო გამოშვებებში მისი ადგილი თითქმის არასოდეს არის პირველ ან მეორე ბლოკში.

კვლევის მონაწილეებს ძალიან გაუჭირდათ, გაეხსენებინათ მაგალითი, როდესაც ქართული მედიის, განსაკუთრებით ტელემედიის, რომელიმე საშუალება/არხი/გადაცემა თავად ყოფილიყო განათლების სისტემასთან დაკავშირებული თემების, პრობლემატიკის, ძირეული ცვლილებების პროცესის

სიღრმისეული შემსწავლელი და სისტემურად გამშუქებელი.

ცალკეული რესპონდენტების განცხადებით, სულ რამდენიმე მედიასაშუალების დასახელება შეუძლიათ, რომლებიც მეტ-ნაკლები სიხშირით და ანალიტიკური მიდგომით აშუქებენ განათლების თემატიკას: „ლიბერალი“, „ნეტგაზეთი“, „ბათუმელები“, „რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიურო და ცალკეულ შემთხვევებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალური სივრცე“. რამდენიმე მათგანმა დაასახელა განათლების თემატიკაზე მომუშავე ადამიანებიც: ლიკა ზაქაშვილი „ლიბერალიდან“ და ია ანთაძე „რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროდან.

3.1.2 განათლების თემის გაშუქებასთან დაკავშირებული სირთულეები და ბარიერები

კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ქართული მედიის წარმომადგენლები და განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები საკმაოდ მნიშვნელოვან და მრავალმხრივ ბარიერებს ხედავენ, რაც საბოლოოდ იწვევს დღევანდელ ქართულ მედიაში განათლების თემის ნაკლებ აქტუალურობასა და არაჯეროვნად გაშუქებას:

- **სახელმწიფო ინსტიტუციების პასიური, ნაკლებად ეფექტიანი მუშაობა** - ინტერვიუების პროცესში იდენტიფიცირდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები, განათლების სამინისტრო, მისი სსიპ-ები, განათლების საპარლამენტო კომიტეტი და ა.შ. ნაკლებად აქტიურები არიან დღევანდელ ქართულ რეალობაში. განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობა ძირითადად შემოიფარგლება ან კალენდარული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით (სასწავლო წლის დაწყება, ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული საინფორმაციო განცხადებები), ან საზოგადოების, მისი რომელიმე ჯგუფის მხრიდან (სტუდენტები, პედაგოგები, მშობლები, მედიასაშუალება) წამოსულ კრიტიკაზე მოპასუხის როლში ყოფნით. სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან ნაკლებად ხდება განათლების ყველაზე პრიორიტეტულ ღირებულებად პოზიციონირება, ასევე ნაკლებად აქტიურია განათლების სამინისტრო და ამ მიმართულებით მომუშავე საკანონმდებლო ერთეული, რომელმაც სიღრმისეული განხილვა/დისკურსი უნდა აწარმოოს მაშინ, როდესაც განათლების მიმართულებით ხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხდება კანონპროექტების წარდგენა და ა.შ. კვლევის მონაწილეთა აზრით, განათლების სამინისტრო ზოგჯერ იმასაც კი ვერ ახერხებს, რომ ანგარიშგასაწევი და კომპეტენტური მხარე იყოს განათლების სფეროში განვითარებული ცვლილებების დროს. კვლევის რამდენიმე მონაწილემ მაგალითად

მოიყვანა ბოლო პერიოდში გახმაურებული ერთ-ერთი თემა, სკოლის პროგრამაში ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ მომზადების პროცესი, როდესაც საპატრიარქოს ჩარევის შემდეგ დაკორექტირდა საგნის შინაარსი. სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების აზრით, ამ დისკურსში განათლების სამინისტრო ფაქტობრივად არ ჩანდა და რა დოზითაც ჩანდა, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ქვეყნის ძირითადი რელიგიური ერთობის მორჩილი იყო და ორიენტირებული იყო, არ შესულიყო საპატრიარქოსთან პოლემიკაში, რაც მის ნაკლებ პროფესიონალიზმსა და პრინციპულობაზე მეტყველებს. სიღრმისეული ინტერვიუების პროცესში რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში განათლების სამინისტრო ყველაზე აქტიური იყო კახა ლომაიას მინისტრობის დროს, როდესაც განათლების სისტემის რეფორმა ძალიან დიდი დროის მანძილზე ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ქართულ მედიაში და შესაბამისად, რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც დისკუსია და პოლემიკა განათლების თემაზე ყველაზე მეტად სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა.

► **წამყვანი მედიასაშულებების (განსაკუთრებით სატელევიზიო არხების) სარედაქციო პოლიტიკა და ტელევიზიების მენეჯმეტის ნაკლები ინტერესი განათლების სფეროს გაშუქების მიმართ** - კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო ინსტიტუციების პასიურობასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია ის ფაქტორი, რომ ქართული მედიის ძირითად მოთამაშეებს (მსხვილ სატელევიზიო არხებსა და მათ მენეჯმენტს) ნაკლებად აინტერესებთ საგანმანათლებლო თემების სიღრმისეული გაშუქება, მათ თავიანთი რესურსი და სატელევიზიო ბადე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაუთმონ ფრაგმენტულად განათლების თემატიკას, როდესაც საქმე რაიმე ტიპის ძლიერ უკმაყოფილებას, პროტესტს ან სკანდალს ეხება. ქართული მედიის ინდიფერენტულობას ხელს უწყობს და კიდევ უფრო აძლიერებს ზემოთ განხილული ბარიერი - განათლების სამინისტროს პასიურობა. აღსანიშნავია ისიც, რომ განათლების სფეროს სიღრმისეულ და ანალიტიკურ დონეზე შესწავლას შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები სჭირდება, რომლებიც მოახერხებენ საკითხში პროფესიულად გარკვევას და აქცენტებსაც სწორად დასვამენ. ქართული მედიის მესვეურებს კი ასეთი კადრების გაზრდაში რესურსის ჩადება ამ ეტაპზე არარენტაბელურად და ნაკლებად აქტუალურად მიაჩნიათ, რადგანაც არსებული მეინსტრიმი - პოლიტიკა, კრიმინალი, ლარის კურსი და ა.შ. მათი არხების რეიტინგულობას ისედაც უზრუნველყოფს.

- **დარგობრივი ჟურნალისტიკის სიმწირე/არარსებობა** - როგორც მედიის წარმომადგენლები, ისე განათლების სფეროში მომუშავე რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ საქართველში ფაქტობრივად ერთ ან ორ ჟურნალისტს თუ გაიხსენებენ, ვისაც პროფესიულ დონეზე შეუძლია იმუშაოს განათლების სფეროზე, სწორად დასვას საკითხი, გააკეთოს „research"-ი და თანამიმდევრულად, ციკლურად გააშუქოს თემა. კვლევის მონაწილეთა აზრით, ზოგადად ქართული ჟურნალისტიკის ხარვეზია, რომ საუნივერსიტეტო განათლების პროცესში 4 + 2 წელი მომავალი ჟურნალისტები მხოლოდ ჟურნალისტურ ტექნიკებს სწავლობენ და როდესაც მუშაობას იწყებენ, მათ ფაქტობრივად წარმოდგენა არ აქვთ, რა მიმართულებაზე უნდა იმუშაონ, რა საკითხებზე გადაიღონ სიუჟეტი ან მოამზადონ სტატია და ა.შ. დღევანდელი საინფორმაციოს ჟურნალისტები და სარედაქციო კოლეგიები კი ე.წ. „ვისაც სცალია, იმან გააკთოს" პრინციპით მუშაობენ და შესაბამისად, ტელეჟურნალისტი ერთ დღეს პოლიტიკაზე მუშაობს, მეორე დღეს - კრიმინალურ შემთხვევაზე, მესამე დღეს - ლარის კურსზე და მის სიუჟეტს აკლია საკითხის სიღრმისეული ცოდნა. ასეთ ჟურნალისტს უჭირს, პროფესიულად გააშუქოს განათლების სფეროსთან დაკავშირებული თემატიკა, გაეცნოს შესაბამის დოკუმენტაციას, სწორად გაერკვას ტერმინოლოგიაში, სწორად შეარჩიოს რესპონდენტი/ექსპერტი და ა.შ.

- **განათლების თემაზე მომუშავე დამოუკიდებელი ექსპერტების/ჯგუფების სიმწირე, ნაკლები ცნობადობა და სფეროს გაშუქებისას უშუალოდ განათლების პროცესის მონაწილეების (პედაგოგები, ლექტორები) მინიმალური ჩართულობა** - კვლევის პროცესში გაირკვა, რომ განათლების სფეროში ერთგვარი სიმწირეა იმ ადამიანების, რომლებიც არ წარმოადგენენ რომელიმე დაინტერესებულ მხარეს (სახელმწიფო ინსტიტუციას ან მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებას) და რომელთაგანაც შესაძლებელია კვალიფიციური, დამოუკიდებელი აზრის მოსმენა. ასევე მცირეა იმ ორგანიზაციების, ჯგუფების, თემების რაოდენობა, რომლებიც განათლების სფეროზე მუშაობენ და რომლებიც შეძლებდნენ, ყოფილიყვნენ ისეთი აქტიურები, რომ მოეხერხებინათ განათლების, როგორც აუცილებელ და ყველაზე პრიორიტეტულ ღირებულებად, პოზიციონირება, განათლების სამინისტროს გააქტიურება და ასევე შეძლებდნენ, ქართულ წამყვან მედიასაშუალებებს შეეფასებინა მათი აქტივობები და შესაბამისად ქართულ განათლებასთან დაკავშირებული თემატიკა უფრო ხშირად და სიღრმისეულად გაეშუქებინა. ფაქტობრივად, კვლევის ყველა რესპონდენტი იდენტურ აზრს აყალიბებდა, წარმოუდგენელია საზო-

გადოებას დავაბრალოთ პასიურობა. საზოგადოება აპრიორი დაინტერესებულია იმით, რომ განათლების სფერო პრიორიტეტული და შესაბამისად აქტუალური იყოს ქართული მედიისთვის. საზოგადოების უდიდესი ნაწილი არის დაინტერესებული მხარე: მოსწავლე, სტუდენტი, მშობელი, მასწავლებელი, ლექტორი და ა.შ. პროცესში ჩართული თითოეული სეგმენტისთვის მნიშვნელოვანია, მიიღონ/გასცენ ისეთი განათლება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება. საზოგადოების გააქტიურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერი იქნება ის თემები, ჯგუფები, ორგანიზაციები, რომლებიც განათლების სფეროზე მუშაობენ. ასევე ხარვეზად განიხილება ის ფაქტი, რომ ქართულ მედიაში ფაქტობრივად აზრს არ ეკითხებიან პროდუქტის მწარმოებლებს - მასწავლებლებს, ლექტორებს. მათი გამოჩენა მედიასივრცეში უკავშირდება მხოლოდ საპროტესტო აქციებს და საგამოცდო პერიოდებს. ამ მიმართულებით გამონაკლისად სახელდებოდა ია ანთაძის გადაცემა „რადიო თავისუფლების“ ქართული ბიუროდან.

- **ხარისხიანი მასალების/ინფორმაციის სიმცირე** - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გათვალისწინებით, შესაბამისად, ნაკლებია მასალები, კვალიფიციური ინფორმაცია, კვლევის შედეგები, რომლებიც, შესაძლოა, გამოიყენოს დაინტერესებულმა მედიასაშუალებამ/ჟურნალისტმა მუშაობის პროცესში. ფაქტობრივად, არ არის კვლევები ისეთ აქტუალურ თემაზეც კი, როგორიცაა ქართული უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი და რა ტიპის კორელაციაა დასაქმებასა და კონკრეტული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულობას შორის. ასევე მუდმივად კამათია იმაზე, სკოლის სახელმძღვანელო ფასიანი უნდა იყოს თუ უფასო, ახალი თუ ნახმარი, მაგრამ ნაკლებად არის გამოკვლეული თავად მეთოდიკა და ის მასალები, რომლებსაც ქართულ საჯარო სკოლებში ასწავლიან. ასევე მუდმივად მსჯელობენ ზედაპირულად პედაგოგების ხელფასსა და მათი განათლების ხარისხზე, მაგრამ ნაკლებად შესაძლოა მოიძიო ინფორმაცია, სადაც დასაბუთებულად არის ნაკვლევი, რამდენი კადრია საჭირო ქართული რეალობისთვის და ა.შ. რაც შეეხება ინფორმაციის მოძიების სირთულეს სახელმწიფო უწყებებიდან, ამ მიმართულებით კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში პრობლემა ნაკლებად არის. ყველაზე რთული მათთვის ინფორმაციის მოპოვების კუთხით შაშკინის მინისტრობის პერიოდი იყო. მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე განათლების სამინისტროს და მის სსიპ-ებს მხოლოდ ფაქტობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის მოცემა შეუძლიათ. სიღრმისეული და ანალიტიკური კუთხით დამუშავებული თემატიკა მათაც ნაკლებად აქვთ.

3.1.3 განათლების თემის გაშუქებასთან დაკავშირებული ხარვეზების გადაჭრის გზები

სიღრმისეული ინტერვიუების პროცესში ირკვეოდა, რომ რესპონდენტებს უჭირდათ ერთგვარი რეცეპტების მოცემა, როგორ უნდა მოხდეს განათლების თემის ეფექტიანი გაშუქება მედიაში და საერთოდ როგორ უნდა გაიზარდოს მედიის დაინტერესება საკითხისადმი. მათი პასუხები გამომდინარეობდა მათ მიერვე დასახელებული ბარიერების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებიდან.

- უნდა გააქტიურდნენ/გაიზრდონ განათლების თემატიკაზე მომუშავე ადამიანები/დამოუკიდებელი ჯგუფები, რაც, თავის მხრივ, მოახდენს თემის აქტუალიზაციას და აიძულებს განათლების სამინისტროს, საპარლამენტო კომიტეტსა და მედიასაშუალებებს, უფრო აქტიურები გახდნენ.
- უფრო მეტი მონიტორინგი უნდა გაეწიოს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ მედიასაშუალებებს, რომ მათ მეტად და ხარისხიანად გააშუქონ განათლების თემასთან დაკავშირებული საკითხები. ზოგადად კვლევის მონაწილეთა აზრით, რაც უფრო დამოუკიდებელი და კონკურენტუნარიანი გახდება ქართული მედიასივრცე, მით უფრო დადგება თავად მედია იმ საჭიროების წინაშე, რომ მხოლოდ მეინსტრიმული, „ცხელი“ და ბულვარული თემები არ გააშუქოს და სხვა თემების სიღრმისეული გაშუქება დაიწყოს. კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ მაგალითად მოიყვანა „პროფილის“ ქეისი, რომელიც მსუბუქი, ყვითელი გადაცემიდან მძიმე სოციალური რეალობის გამშუქებელ სატელევიზიო პროდუქტად გადაიქცა.
- დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითრება - განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებმა და ჯგუფებმა აღნიშნულის სტიმულირება შეიძლება სცადონ ჟურნალისტებისთვის სპეციალური ტრენინგკურსების შეთავაზებით, სადაც ძირითად ტერმინოლოგიასა და პროცესებზე მაინც მიაწვდიან მონაწილეებს ინფორმაციას - მაგ., რას ნიშნავს ბოლონიის პროცესი, რა იგულისხმება კრედიტების სისტემაში, რა არის სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭება და ა.შ. მართალია, არის რისკი, რომ განათლების თემაზე სიუჟეტის, სტატიის მოსამზადებლად სხვა ჟურნალისტი გაუშვან, ის, „ვინც იმ მომენტში თავისუფალია“ და არა ის, ვინც ამ თემაზე ტრენინგები გაირა, მაგრამ ასეთი მიდგომა ნებისმიერ შემთხვევაში პოზიტიურად წაადგება განათლების სფეროს გაშუქებას მედიაში და შეიძლება, კონკრეტული ჟურნალისტებისთვის გახდეს სტიმული, რომ უფრო სიღრმისეულად დაინტერესდნენ ამ თემით.

- რაც შეეხება თემებს, რომლებიც აუცილებლად და პირველ რიგში უნდა გახდეს მედიის გაშუქების საგანი, საკმაოდ ვრცელია: საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს განათლების, როგორც მთავარი ღირებულების, განხილვა, ადამიანის უფლებების დაცვა საგანმანათლებლო სისტემაში, რამდენად ჰუმანურია ქართული განათლების სისტემა, რამდენად დაცულია ბაღის აღსაზრდელების, მოსწავლეების, აბიტურიენტების, სტუდენტების, პედაგოგების უფლებები, როგორ ხდება სასკოლო მეთოდოლოგიის შერჩევა, რამდენად ეფექტურია და რის შეცვლაა შესაძლებელი არსებულ სასწავლო სქემებში. ასევე მნიშვნელოვან საკითხად იქნა მიჩნეული მედიასაშუალებების გამოყენება იმისთვის, რომ განათლების სისტემა, სკოლა არ იყოს ინდოქტრინებული.

4. ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განათლების გაშუქება ქართული მედიისთვის ნაკლებად პრიორიტეტული თემაა. ყველაზე ნაკლებად განათლების საკითხების სიღრმისეული გაშუქება ხდება ტელესივრცეში, შედარებით მეტი თანამიმდევრულობა და ანალიტიკა ახასიათებს განათლების თემატიკის გაშუქებისას რამდენიმე ინტერნეტგამოცემას.

ქართულ მედიასივრცეში ფაქტობრივად არ ხდება მედიის მიერ აქტუალური თემის ინიციირება. განათლების შესახებ სიუჟეტები/სტატიები ძირითადად კონკრეტული ფაქტით/გარემოებით გამოწვეული რეაქციაა და ნაკლებად ახასიათებს სისტემური, ციკლური ხასიათი.

ქართული მედიის ინდიფერენტულობა ძირითადად გამოწყვეულია სახელმწიფო ინსტიტუციების (განათლების სისტემის, განათლების საპარლამენტო კომიტეტის) პასიურობით და ასევე წამყვანი მედიასაშუალებების მენეჯმენტის/სარედაქციო კოლეგიის ნაკლები ინტერესით. ქვეყანაში იგრძნობა განათლების სექტორში მომუშავე პროფესიონალი ადამიანების/ჯგუფების რაოდენობის/ცნობადობის სიმცირეც, რაც მთლიანობაში ნეგატიურ გავლენას ახდენს განათლების მთავარ ღირებულებად პოზიციონირებასა და აქტუალურობაზე.

თავად ჟურნალისტებშიც/მედიასივრცის წარმომადგენლებშიც ნაკლებად არიან ადამიანები, რომლებსაც პროფესიულ, სიღრმისეულ დონეზე შეუძლიათ იმუშაონ განათლების საკითხებზე და გახდნენ აქტუალური თემის განხილვის ინიციატორი.

იმისათვის, რომ განათლების თემა პრიორიტეტული გახდეს ქართული მედიასაშუალებებისთვის, აუცილებელია, გააქტიურდნენ თავად ამ სფეროს წარმომადგენლები, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციები, ისე განათლების სექტორში მომუშავე დამოუკიდებელი ჯგუფები. სახელმწიფო ინსტიტუციებს უნდა ჰყავდეთ პროფესიული, დამოუკიდებელი ოპონენტები, რომლებიც არ მისცემენ მათ მოდუნების საშუალებას, მუდმივად მოახდენენ მნიშვნელოვანი თემების გააქტიურებას და სახელმწიფოსაც და მედიასაც აიძულებენ, უფრო მეტი დრო დაუთმონ ქვეყნისთვის მთავარ ღირებულებას, განათლებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას.

რეკომენდებულია, ჩატარდეს განათლების სფეროსთან დაკავშირებული ტრენინგები ჟურნალისტებისთვის, მედიასივრცის წარმომადგენლების-

თვის, სადაც სფეროს ძირითად ცნებებთან და ტერმინოლოგიასთან ერთად გაკეთდება აქცენტები იმ საკითხებზე , რომლებიც პირველ რიგში გასააქტიურებელია როგორც სახელმწიფო, ისე მედიასივრცის დონეზე.